



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



N 10  
26/01/2018

10-07-4-201801261717



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №10  
2018 წლის 26 იანვარი  
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- ა) ემზარ თევდორაძე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ელისო ჭიჭინაძე - კომისიის წევრი;
- გ) რევაზ კვერენჩხილაძე - კომისიის წევრი;
- დ) კარლო კვიციანიშვილი - კომისიის წევრი;
- ე) ამირან ქანთარია - კომისიის წევრი;
- ვ) გოდერძი ქურდიე - კომისიის წევრი;
- ზ) კახა თედორაძე - კომისიის წევრი;
- თ) რეზო კვაჭაძე - კომისიის წევრი;
- ი) გიორგი გვარჯალაძე - კომისიის წევრი;
- კ) ბესიკ კუპრაძე - კომისიის წევრი;
- ლ) ზაალ სანაძე - კომისიის წევრი;
- მ) ამირან გიგინეიშვილი - კომისიის წევრი;
- ნ) ციცილო ჩხაიძე - კომისიის წევრი“.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან

ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.**

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

